სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

25 ივლისი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 115

2024 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2024 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 6 ივნისის N88 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 25 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N907201) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2024 წლის 25 ივლისის N115 ბრძანებით

2024 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	PHDF-24-3024	ევროპული მოდერნიზმის გავლენის თავისებურება ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში	დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი); გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
2	PHDF-24-903	ნუტრიციული სტატუსის შესწავლა და მალნუტრიციის რისკის შეფასება ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტებში	დოქტორანტის და დისერტაციის ხელმძღვანელის CV-ების მიმართ დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი) და კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
3	PHDF-24-1383	გაფანტული სკლეროზი - დაავადების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სოციალური ტვირთის შეფასება საქართველოში	საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის თანხმობის წერილის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.